“დინამო” (თბილისი) – “გვარდია” (კრაკოვი) – 3:0

16 ნოემბერს, თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა ჩაატარეს თავიანთი უკანასკნელი ამხანაგური შეჯიბრება პოლონელ სპორტსმენებთან. ამჯერად საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდნენ პოლონეთის 1950 და 1951 წლების ჩემპიონს – ქ. კრაკოვის “გვარდიას”.

შეხვედრის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე კრაკოვის “გვარდიის” სტადიონზე თავი მოიყარა 40 ათასზე მეტმა მაყურებელმა. თბილისის “დინამო” მინდორზე გამოვიდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. “გვარდია” გაძლიერებული იყო სხვა სპორტული კლუბების ფეხბურთელებით.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით წარიმართა და აღინიშნა ორმხრივი მწვავე იერიშებით. პოლონელმა სპორტსმენებმა თამაში ააგეს თავისებური სქემით: 4 თავდამსხმელი, 4 ნახევარმცველი და 3 მცველი (ჩვეულებრივად პოლონეთის გუნდებში 2 მცველია). თბილისელები უმთავრესად შეტევებს ავითარებდნენ მარჯვენა ფრთიდან, სადაც, როგორც წინა თამაშებში, გამოირჩეოდნენ გაგნიძე და ჯოჯუა. მათ აქტიურად ეხმარებოდნენ პანიუკოვი და ანთაძე.

მე–15 წუთიდან აშკარა გახდა თბილისელთა უპირატესობა. მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე მათ ზედიზედ რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს. ერთ–ერთ ასეთ მომენტში, თამაშის 23–ე წუთზე, “გვარდიის” მეკარის იუროვიჩის სახიფათო თამაშისათვის მსაჯმა ნ. ჩხატარაშვილმა დანიშნა თავისუფალი დარტყმა. ჭკუასელმა პარტნიორისაგან მიღებული ბურთი ძლიერი დარტყმით “გვარდიის” კარის ბადეში მოათავსა. 1:0 საბჭოთა ფეხბურთელთა სასარგებლოდ. სულ მალე აშკარა გოლისაგან იხსნა თავისი გუნდი “გვარდიის” მცველმა დუბეკმა, რომელმაც ბურთი პირით ხაზს უკან გაგზავნა. რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისელებმა ადგილის გადანაცვლებით გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, მაგრამ ვარდიმიადის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარემ.

30–ე წუთიდან თამაშის ტემპი შედარებით შენელდა. შესვენებამდე პოლონელმა ფეხბურთელებმა განახორციელეს რამდენიმე საპასუხო იერიში. თამაშში ჩაება მარღანია, რომელმაც მაყურებელთა მქუხარე ტაშის გრიალში რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

სწრაფ ტემპში ჩაიარა შეხვედრის მეორე ტაიმმაც. თამაში მიმდინარეობდა მეტწილად მასპინძელთა ნახევარზე. პოლონელმა თავდამსხმელებმა რამდენჯერმე სცადეს დინამოელთა კარისაკენ გაჭრა, მაგრამ მათ ფხიზლად დარაჯობდნენ ნახევარმცველები და მცველები. განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა ძიაპშპამ, რომელმაც საიმედოდ “ჩაკეტა” პოლონეთის ერთ–ერთი უძლიერესი ფეხბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი კობუტი. რამდენიმეჯერ სცადა წინ გაჭრა პოლონელთა მარჯვენა შუამარბმა გრაჩმაც, რომელიც თბილისელებმა გაიცნეს “უნიასთან” შეხვედრის დროს, მაგრამ მას წარმატებით “უმკლავდებოდა” ანთაძე.

დაახლოებით მე–60 წუთზე წინ გაიჭრა ღოღობერიძე და ძლიერად დაარტყა მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ მეკარემ სხარტი ნახტომით ბურთი პირით ხაზს იქით გადაიყვანა. კუთხურს აწოდებს ჭკუასელი, პოლონელთა მცველებს ბურთი კვლავ პირით ხაზს იქით გადააქვთ. ამჯერად ჯოჯუამ ზუსტად ჩააწოდა ბურთი საჯარიმო მოედანზე, ღოღობერიძემ ძლიერად დაარტყა, ერთ–ერთმა მცველმა მოიგერია ბურთი, მაგრამ მიუსწრო ვარდიმიადიმ და ანგარიში გახდა 2:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

თამაშის დამთავრებამდე ღოღობერიძემ კიდევ ერთი ბურთით გაადიდა ანგარიში. შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით – 3:0.

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა პოლონეთში ჩაატარეს ოთხი ამხანაგური შეხვედრა. მათ დაამარცხეს “გვარდია”, “ცვკს” და “გურნიკი”, რომელთაც პოლონეთის 1951 წლის გათამაშებაში დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე ადგილი, და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა პოლონეთის თასის მფლობელთან – “უნიასთან”.

თბილისის “დინამო” პოლონეთში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობას ღებულობდა შემდეგი შემადგენლობით: ვ. მარღანია, ვ. ელოშვილი, ნ. ძიაპშპა, ი. სარჯველაძე, ვ. პანიუკოვი, გ. ანთაძე, მ. ჯოჯუა, კ. გაგნიძე, ი. ვარდიმიადი, ა. ღოღობერიძე, ა. ჭკუასელი, ნ. თოდრია, გ. ჯავახაძე (გუნდის მწვრთნელები სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. იაკუშინი და მ. მინაევი). საბჭოთა სპორტსმენთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გოგლიძე.

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები თბილისში ჩამოვლენ 24 ნოემბერს.

23 ნოემბერი, 1951 წ.